KA030169837312520

№ 01-5368 **28 / მაისი / 2020 წ.**

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ბატონ გიორგი ჭავჭავაძეს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით მთავრობის ადმინისტრაციის 2020 წლის 22 მაისის N GOV72000018190 წერილს, რომელიც ეხება ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის თანახმად 2020 წლის სექტემბერში საქართველოს მიერ ეროვნული ანგარიშის წარდგენას ზემოხსენებულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფისათვის (GREVIO).

წერილს თან ახლავს GREVIO-ს მიერ გამოგზავნილ კითხვარი (დანართი N1), სადაც, უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან, თითოეულ შეკითხვის საპასუხოდ განისაზღვრა შესაბამისი უწყება/უწყებები. ასევე, წარმოდგენილია კითხვარის შევსების გაიდლაინი (დანართი N2) და ადამიანის უფლებების სამდივნოს მიერ შევსებული ინფორმაციის პირველად ვერსია (დანართი N3), რომელიც ძირითადად ეხმიანება საკანონმდებლო ჩარჩოსა და სახელმწიფოს პოლიტიკას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. შესაძლებელია, კითხვარის შევსებულ ნაწილში ნებისმიერი ცვლილების განახორციელება.

გთხოვთ, წერილი და თანდართული დოკუმენტაცია განიხილოთ კომპეტენციის ფარგლებში და მიმდინარე წლის 27 ივნისამდე მოგვაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია ქართულ ენაზე, შესაბამისი სსიპ-ის პოზიციის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თინათინ ხარძიანი